სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №79

ქ. თბილისი 15 ივნისი 2018წ.

„აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 14 ივნისის N 77 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N 733034, 15.06.2018) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 14 ივნისის N 77 ბრძანებით დამტკიცებულ დანართ 1-ში, კონკურსის პროგრამა და პირობებში და მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„კ) 2018 წლის სექტემბერი - საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება“
2. შევიდეს ცვლილება „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 14 ივნისის N 77 ბრძანებით დამტკიცებულ დანართ 10-ში, ბიუჯეტის კლასიფიკატორში და მე-4 პუნქტის 4.7 ქვეპუნქტის მე-9 კატეგორია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„კონსულტანტის ჰონორარი“
3. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
4. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N 6)

სოფიო უჩანეიშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი